
10/03/2023

გამოვიდა მსა-ს პედაგოგების დამხმარე სახელმძღვანელო „ქრესტომათია. ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“



გამომცემლობის სახლმა „მეცნიერება“ გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო „ქრესტომათია. ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“, შედგენილი მოსკოვის სასულიერო აკადემიის ეკლესიის ისტორიის კათედრის მასწავლებლების, მღვდლების ილია პისმენიუკისა და იოანე კეჩკინის მიერ.

როგორც მსა–ის პრეს-სამსახური იუწყება, წიგნის მომზადება განხორციელდა რუსეთის ფუნდამენტური კვლევების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით № 21-011-44111 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში.

ქრესტომათია შეიცავს მე-20 საუკუნეში ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს) ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილ დოკუმენტებსა და მასალებს.

კრებულში შედის ოფიციალური დოკუმენტები, ეკუმენური მოძრაობის ძირითადი მართლმადიდებელი წარმომადგენლების მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეების ოფიციალური მართლმადიდებელი დელეგატების სიები, აგრეთვე საკვანძო წყაროები და ლიტერატურა. წარმოდგენილი დოკუმენტების ნაწილი პირველად ითარგმნა ინგლისურიდან და გამოიცა რუსულენოვან გამოცემაში.

ქრესტომათია განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.

mospat.ru